თბილისის თავისუფალი აკადემია

სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. თბილისის თავისუფალ აკადემიაში (შემდგომში - „აკადემია“) მოქმედი სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს;

1.2. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, აკადემიაში მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების და ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს აკადემიის სამეცნიერო - კვლევითი პოტენციალის ზრდას, მეცნიერების პოპულარიზაციას, უცხოურ უნივერსიტეტებთან, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ცენტრებთან კავშირის დამყარებასა და არსებული კავშირების განვითარებას.

2.2. ცენტრის ამოცანები:

ა. ინსტიტუციის კვლევითი მიმართულებების პრიორიტეტულობის პერიოდული განსაზღვრა;

ბ. კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა;

გ. შემოქმედებითი საქმიანობის პოტენციალის ზრდა;

დ. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის გაღრმავება და მხარდაჭერა;

ე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა;

ვ. საერთაშორისო პროექტებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის ზრდა;

ზ. აკადემიის მთელი საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;

თ. ეკონომიკურ აგენტებთან კავშირების დამყარება და ურთიერთობების გაღრმავება;

2.3. ცენტრის ფუნქციები:

ა. სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის, პროექტების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა, ადმინისტრირება და ჩატარების ხელშეწყობა;

ბ. სამეცნიერო - კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან - ეკონომიკურ აგენტებთან;

გ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა, მხარეების ჩართულობა და ნაშრომების გამოქვეყნება აკადემიის რეფერირებად ჟურნალში „აკადემლაბი“;

დ. კოორდინირებული თანამშრომლობა აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებთან, სკოლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი და მთავარი სპეციალისტი, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

3.2. ცენტრის ხელმძღვანელი:

ა. ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია ცენტრზე დაკისრებული მიზნების, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ. წარმოადგენს ცენტრს ინსტიტუციის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან;

გ. ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის და კვლევითი პროექტების ეფექტურ განხორციელებას;

დ. ხელს უწყობს აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული საქმიანობის შესაბამისობას სამეცნიერო - კვლევით საქმიანობასთან;

ე. სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი თავისი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ყოველწლიურად შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს;

ვ. მონაწილეობს აკადემიის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

3.3. ცენტრის მთავარი სპეციალისტის ფუნქციებია:

ა. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დაგეგმვა, მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, სარედაქციო კოლეგიის ჩამოყალიბება, აკადემიური ნაშრომების გამოქვეყნება აკადემიის რეფერირებად ჟურნალში „აკადემლაბი“;

ბ. სტუდენტთა შერჩევა სამეცნიერო კვლევებში ჩართვის მიზნით (სურვილის შემთხვევაში) გასაუბრებისა და მათი აკადემიური მოსწრების საფუძველზე;

გ. შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის შექმნა სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით;

დ. სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარების ხელშეწყობა - სამეცნიერო გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტების/მეცნიერების მოწვევა ლექცია - სემინარების ჩატარების მიზნით;

ე. ცენტრის ხელმძღვანელის მიერ გაცემული სხვა დავალებების შესრულება სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ფარგლებში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიაში მოქმედი რეგულაციების და სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

4.2. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს აკადემიის სენატი;

4.3. დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.